

საქართველოს კანონი

„მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებისა და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 24(31), 1999 წელი) დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. ლენტეხის რაიონის სოფლების ჩამონათვალს დაემატოს დაბა ლენტეხი.

2. ლენტეხის რაიონის სოფლების ჩამონათვალში სიტყვები „ცახაში“ და „მალმარი“ შეიცვალოს სიტყვებით „წანაში“ და „ნალმარი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი